სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

01 ივლისი 2024

N 162

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების წარმოების დაფინანსება“ ფარგლებში ფილმის პროექტის დაფინანსების შესახებ

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, „კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების წარმოების დაფინანსება“ - გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 14 მაისის №117 ბრძანების, „კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების წარმოების დაფინანსება“ - ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) შექმნის შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 13 ივნისის №148 ბრძანებისა და „კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების წარმოების დაფინანსება“ ფარგლებში მეორე ეტაპზე გადასული ფილმის პროექტის განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის მეორე შემადგენლობის შექმნის შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 24 ივნისის №158 ბრძანებით შექმნილი საექსპერტო კომისიის მეორე შემადგენლობის (ჟიურის) 2024 წლის 28 ივნისის დასკვნის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ეროვნული კინოცენტრი) დირექტორის 2024 წლის 14 მაისის №117 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების წარმოების დაფინანსება“ - ფარგლებში დაფინანსდეს ფილმის პროექტი „იგი“ - პროდიუსერი შპს „20 სტეპს ანიმაცია“ (ს/ნ 402199223), რეჟისორი ნათია ნიკოლაშვილი; დაფინანსდეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარით;

2. ეროვნულ კინოცენტრთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, პროდიუსერი ვალდებულია, ამ ბრძანების გამოცემიდან 11 თვის განმავლობაში წარმოადგინოს ,,ეროვნული ფილმის დებულების“ მე-4 მუხლით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის - ალტერნატიული დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილება დაფინანსების თაობაზე ძალას კარგავს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი